

სს „ვენჯორჯია“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31
დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	8
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძვლები.....	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	12
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	15
5. ფინანსური ხარჯი	16
6. ფინანსური შემოსავალი.....	16
7. მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან.....	16
8. გაცემული სესხები.....	18
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
10. სააქციო კაპიტალი.....	19
11. მიღებული სესხები.....	19
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	19
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	20
14. პირობითი ვალდებულებები.....	20
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	21
მმართველობის ანგარიშგება.....	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

სს „ვენჯორჯიას“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

უარყოფითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ვენჯორჯიას“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში, ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველად აღარ არის მიზანშეწონილი საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება, რადგან კომპანიას განზრახული აქვს საქმიანობის შეწყვეტა. მიუხედავად ამისა, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. არ განხორციელებულა შესაბამისი შეფასებითი კორექტირებები, რომლებიც ასახავდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების შესაბამის საფუძველს მსს ფასს-ის მიხედვით. გარდა ამისა, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არსებობს სათანადო გამჟღავნება ან შეფასებითი კორექტირება, რომელიც აღწერდა ახალ სააღრიცხვო საფუძველს და მის გავლენას ფინანსურ მაჩვენებლებზე. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ფინანსური ანგარიშგება არსებითად და ყოვლისმომცველად არის დამახინჯებული.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, შეწყვეტილ ოპერაციებში აღრიცხული ამონაგების დასადასტურებლად შევამოწმეთ კომპანიის პირველადი დოკუმენტაცია, მათ შორის საცალო რეალიზაციების დასადასტურებლად სალარო აპარატების ფისკალური მაჩვენებლები. შედარებისას გამოვლინდა, რომ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ამონაგები აჭარბებდა ფისკალური მონაცემების მიხედვით დათვლილ შემოსავლებს 445,409 ლარის ოდენობით. კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება მოცემულ სხვაობასთან დაკავშირებით. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა, რაიმე კორექტირების შეტანა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, შეწყვეტილ ოპერაციებში ამონაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით, რის გამოც ჩვენი აუდიტორული მოსაზრება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოდიფიცირებულია. მოდიფიცირებულია აგრეთვე ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზეც, ამ საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობაზე.

როგორც მე-14 შენიშვნაშია მოცემული, კომპანია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს თანამსესხებელს თავისი დაკავშირებული მხარეების მიერ ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებულ სესხებზე. თანამსესხებლობის პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაკავშირებული მხარეები ვერ უზრუნველყოფენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილებას, კომპანია შესაძლოა გახდეს ვალდებული გადაიხადოს სესხის თანხა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით კომპანიას არ წარმოექმნება მატერიალური დანაკარგი, რასთან დაკავშირებითაც აღნიშნული თანამსესხებლობების ნაწილზე (18,702,554 ლარი) ხელმძღვანელობისგან ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები. შედეგად ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ანარიცხებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლად ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი უარყოფითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას. იმ მიზეზის გამო, რომლებიც აღწერილია უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით არ არის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებით, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

19 ნოემბერი 2025

სს „ვენჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(52,092)	(13,530)
სხვა ხარჯები		(53,370)	(28,041)
საოპერაციო ზარალი		(105,462)	(41,571)
ფინანსური ხარჯი	5	(375,792)	(1,219,671)
ფინანსური შემოსავალი	6	1,193,950	1,244,945
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		712,696	(16,297)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული მოგება		712,696	(16,297)
/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან			
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	7	-	4,142,601
მთლიანი სრული შემოსავალი		712,696	4,126,304

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 19 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გ. გვეტაძე

ფინანსური დირექტორი

ა. ჩუბინიძე

სს „ვენჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება


საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(52,092)	(13,530)
სხვა ხარჯები		(53,370)	(28,041)
საოპერაციო ზარალი		(105,462)	(41,571)
ფინანსური ხარჯი	5	(375,792)	(1,219,671)
ფინანსური შემოსავალი	6	1,193,950	1,244,945
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		712,696	(16,297)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული მოგება		712,696	(16,297)
/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან			
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	7	-	4,142,601
მთლიანი სრული შემოსავალი		712,696	4,126,304


ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 19 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გ. გვიტაძე

ფინანსური დირექტორი



ა. ჩუბინიძე

სს „ვენჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	-	11,074,166
არამატერიალური აქტივები		2,061	2,061
გაცემული სესხები	9	-	1,720,907
		2,061	12,797,134
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	10,716,299	1,692,300
ფული და ფულის ეკვივალენტები		1,485	1,683
		10,717,784	1,693,983
სულ აქტივები		10,719,845	14,491,117
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	10	3,069,683	3,069,683
დაგროვილი ზარალი		(3,953,873)	(4,666,569)
სხვა რეზერვი		6,669,908	7,499,732
		5,785,718	5,902,846
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	-	3,066,142
		-	3,066,142
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	325,223	1,223,322
მიღებული სესხები	11	4,608,904	4,298,807
		4,934,127	5,522,129
სულ ვალდებულებები		4,934,127	8,588,271
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10,719,845	14,491,117

10 – 21 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ვენჯორჯია“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
31.12.2022	3,069,683	(8,792,873)	5,614,148	(109,042)
სხვა რეზერვები	-	-	1,885,584	1,885,584
მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,126,304	-	4,126,304
31.12.2023	3,069,683	(4,666,569)	7,499,732	5,902,846
სხვა რეზერვები	-	-	(829,824)	(829,824)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	712,696	-	712,696
31.12.2024	3,069,683	(3,953,873)	6,669,908	5,785,718

სს „ვენჯორჯია“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		712,696	4,126,304
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		-	970,715
ფინანსური ხარჯი	5	375,792	1,219,671
ფინანსური შემოსავალი	6	(1,193,950)	(1,244,945)
დებიტორული დავალიანების აღდგენა		-	(47,158)
მოგება საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		-	173,709
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		(105,462)	5,198,296
მარაგების შემცირება		-	2,397,949
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		146,107	1,325,695
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(40,843)	(3,637,538)
(საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული)/ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		(198)	5,284,402
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	(123,187)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		-	2,721,694
სესხის გაცემა		-	(8,516,623)
გაცემული სესხის ძირის მიღება		-	2,202,000
გაცემული სესხის პროცენტის მიღება		-	1,530
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		-	(3,714,586)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება		-	18,438,054
სესხის ძირის გადახდა		-	(19,872,783)
მიღებული სესხების პროცენტის გადახდა		-	(920,837)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		-	(2,355,566)
ფულადი სახსრების შემცირება, წმინდა		(198)	(785,750)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,683	787,742
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული შედეგი		-	(309)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		1,485	1,683

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ვენჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიამ საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2015 წელს. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იან მფლობელს წარმოადგენს „გლობალ ინვესტორს ლიმიტედ“ (რეგისტრირებულია მალტაში ნომრით - C38646). კომპანიის ბენეფიციარ მფლობელებს წარმოადგენენ სამსონ ფხაკაძე (აქციების 50%-ის მფლობელი) და ლევან ფხაკაძე (აქციების 50%-ის მფლობელი).

2023 წლის სექტემბრამდე სს „ვენჯორჯია“ წარმოადგენდა სწრაფი კვების რესტორნების ქსელს, რომელიც მომხმარებელს სთავაზობდა ბურგერებს, სასმელს, დესერტს და სხვა. კომპანია ოპერირებდა ვენდის გლობალ რესტორნისგან (Wendy's Global Restaurants) მიღებული ფრანშიზის უფლებით. 2023 წელს კომპანიის დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სს ვენჯორჯიას შეეწყვიტა სარესტორნო საქმიანობა, შედეგად კომპანიამ 2023 წლის სექტემბერში ყველა რესტორნის მფლობელობა და მასთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები გადასცა დაკავშირებულ მხარეს შპს „ვ-ჯეო რესტორნებს“, რომელმაც გააგრძელა კომპანიის სარესტორნო საქმიანობა. სს „ვენჯორჯიამ“ გააგრძელა საოპერაციო საქმიანობა ფინანსური აქტივების მართვის მიმართულებით, თუმცა დამფუძნებლების 2024 წლის გადაწყვეტილებით, კომპანიამ აღნიშნული საქმიანობაც შეწყვიტა.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის 74ბ. კომპანია რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 404885335.

2. მომზადების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადება, რომელიც შეესაბამება საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობის შეფასებით ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება აღარ შეესაბამება კომპანიის არსებულ რეალობას. გადაწყვეტილება აღნიშნული დაშვების გამოყენების შესახებ მიღებულია იმ საფუძველზე, რომ კომპანიამ შეწყვიტა სარესტორნო საქმიანობა და ინარჩუნებს მინიმალური მასშტაბის საქმიანობას მხოლოდ მიმდინარე ადმინისტრაციული და ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი და არ ასახავს კომპანიის რეალურ ეკონომიკურ და საოპერაციო გარემოს. მიუხედავად ამისა, შესაბამისი ალტერნატიული სააღრიცხვო ჩარჩოს ან საჭირო კორექტირებების გამოყენება არ მომხდარა ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია ძირითადი გარემოებები, რომლებიც განაპირობებს ხელმძღვანელობის შეფასებას:

- კომპანიამ 2024 წელს შეამცირა, შემდგომ კი არსებითად შეაჩერა საოპერაციო საქმიანობა;
- კომპანია არ ახორციელებს ინვესტიციებს და ინარჩუნებს მინიმალური მასშტაბის საქმიანობას მხოლოდ მიმდინარე ადმინისტრაციული და ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად.
- კომპანიის დამფუძნებლები არ აპირებენ, რომ განაგრძონ კომპანია და განაახლონ მისი საოპერაციო საქმიანობა;

მიუხედავად ზემოთ აღწერილი გარემოებებისა, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არ გადახდილა და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული პრინციპის საფუძველზე. არ განხორციელდა ალტერნატიული სააღრიცხვო მეთოდოლოგიის დანერგვა, როგორცაა სალიკვიდაციო ღირებულებების გამოყენება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. კომპანია მომსახურებას გასწევს შემდეგი გადახდის სტანდარტული საკრედიტო პირობებით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტიანი ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთდროულად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2016 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში კომპანია ყველა გადასახადს იხდის ერთიან საბაზისო კოდეზე. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების წარდგენილია ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

სხვა რეზერვები

კომპანიის სხვა რეზერვები წარმოქმნილია დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული გრძელვადიანი ვალდებულებების, მოთხოვნების და დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების დისკონტირების ეფექტით. აღნიშნული ოპერაციები მიჩნეულია, როგორც დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როცა ისინი წარმოიქმნება. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელიც ანაწილებს ფინანსური ინსტრუმენტის მიერ მიღებულ ან გადახდილ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ვადიანობაზე. კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტი საწყისად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური შემოსავალი მოიცავს ძირითადად:

- პროცენტულ შემოსავალს გაცემული სესხებიდან დაკავშირებულ მხარეებზე;
- პროცენტულ შემოსავალს მოთხოვნებზე;
- მიღებული და გაცემული სესხების გადაფასების შედეგად მიღებულ წმინდა შედეგს;

ფინანსური ხარჯი მოიცავს:

- პროცენტულ ხარჯს მიღებული სესხებიდან დაკავშირებულ მხარეებისგან;

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები აღიარდება შესაბამისი სარგებლის აღიარების პროპორციულად.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და თანამშრომლებისთვის გაცემული სხვა არა-ფულადი სარგებელი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ხდება თანამშრომელთა მიერ კომპანიისთვის მომსახურების გაწევა.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შეწყვეტილი ოპერაციები

შეწყვეტილი ოპერაცია არის კომპანიის კომპონენტი, რომელიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და:

- ა) წარმოადგენს საწარმოს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს;
- ბ) არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან
- გ) არის კონკრეტულად შემდგომი გაყიდვის მიზნით შექმნილი შვილობილი საწარმო.

კომპანია ამჟღავნებს შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებით შემდეგ ინფორმაციას:

- ა) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ერთიანი თანხა, რომელიც შედგება შემდეგი სიდიდეების ჯამისაგან:

- (i) შეწყვეტილი ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი დაბეგვრის შემდეგ; და
 - (ii) დაბეგვრის შემდგომი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებით, ან შეწყვეტილი ოპერაციების შემადგენელი აქტივების ან გამსვლელი ჯგუფ(ებ)ის გასვლასთან დაკავშირებით; და
- ბ) (ა) პუნქტით განსაზღვრული მთლიანი თანხის ანალიზი, შემდეგი ელემენტების მიხედვით:
- (i) შეწყვეტილი ოპერაციებიდან გამომდინარე ამონაგები, ხარჯები და დაბეგვრამდელი მოგება ან ზარალი;
 - (ii) შესაბამისი მოგებიდან გადასახადის ხარჯი;
 - (iii) შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან, ან შეწყვეტილი ოპერაციების შემადგენელი აქტივების ან გამსვლელი ჯგუფ(ებ)ის გასვლასთან დაკავშირებით;
 - (iv) შესაბამისი მოგებიდან გადასახადის ხარჯი;

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანიას შემუშავებული აქვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია. კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)**ძირითადი შეფასებები და დაშვებები**

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის დროს კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. გადაწყვეტილება მიიღება იმის განსაზღვრით, არის თუ არა ტრანზაქციები შეფასებული საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, სადაც არ არის აქტიური ბაზარი ასეთი ოპერაციებისთვის. მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს ოპერაციათა ანალოგიური სახეობის ფასწარმოქმნა არადაკავშირებულ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

5. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(375,792)	(457,859)
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	-	(761,812)
	(375,792)	(1,219,671)

6. ფინანსური შემოსავალი

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ აქტივების რეალიზაციიდან წარმოქმნილი მოთხოვნაზე	1,105,476	450,045
დაკავშირებული მხარეებზე გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	19,750	562,329
მოგება ვალუტის კურსის ცვლილებიდან, წმინდა	68,724	232,571
	1,193,950	1,244,945

7. მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან

2023 წელს კომპანიის დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სს ვენჯორჯიას შეეწყვიტა სარესტორნო საქმიანობა, შედეგად კომპანიამ ყველა რესტორნის მფლობელობა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივები და ვალდებულებები გადასცა დაკავშირებულ მხარეს შპს „ვ-ჯეო რესტორნებს“, კონკრეტულად:

- მიჰყიდა მის მფლობელობაში არსებული საოპერაციო საქმიანობისთვის საჭირო უძრავ-მოძრავი ქონება სრულად;
- მიჰყიდა არამატერიალური აქტივები;
- გადასცა ყველა რესტორნის მფლობელობა;
- გადასცა მიღებული სესხებისა და სავაჭრო ვალდებულებების ნაწილი;

ასევე, მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულება უფლებამონაცვლეობის საფუძველზე გადაფორმდა შპს „ვ-ჯეო რესტორნების“ სახელზე. აღნიშნული ოპერაციის შედეგად მიღებული მოგება (მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან) წარმოდგენილია შემდგენილიდან:

სს „ვენჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

7. მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან (გაგრძელება)

ვ-ჯგო რესტორნებზე სარესტორნო საქმიანობის გადაცემის შედეგი:

	2023
ფულადი სახით მისაღები კომპენსაცია*	17,327,548
სხვა სახის კომპენსაცია	-
მთლიანი მისაღები კომპენსაცია	17,327,548
სხვა აქტივების გასვლა, წმინდა (გარდა ფულადი სახსრებისა):	
ძირითადი საშუალებები	11,289,021
არამატერიალური აქტივები,	917,439
მარაგები	1,439,113
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	43,598
	13,689,171
ვალდებულებები	
მიღებული სესხები	1,029,398
სავაჭრო ვალდებულება	826,318
	1,855,716
გასული წმინდა აქტივები	11,833,455
საგადასახადო ხარჯი	-
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება**	5,494,093

(*) – 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ მისაღები კომპენსაციიდან ფულადი სახით მიიღო 2,721,694 ლარი.

(**) – აქტივების გაყიდვის შედეგად მიღებული მოგება, როგორც დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ტრანზაქცია, ასახულია კაპიტალის მუხლში „სხვა რეზერვების“ კლასიფიკაციის ქვეშ.

სარესტორნო საქმიანობის შეწყვეტის შედეგი

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, კომპანიამ 2023 წლის განმავლობაში სრულად შეწყვიტა სარესტორნო საქმიანობა, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც შეწყვეტილი ოპერაციები. აღნიშნული ოპერაციები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაკლასიფიცირდა ცალკე არედ, როგორც „მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან“.

	2023
ამონაგები	37,923,942
სხვა შემოსავალი	480,404
მარაგის ხარჯი	(18,865,953)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(4,853,448)
მიწოდების ხარჯები	(1,447,165)
ცვეთა და ამორტიზაცია	(970,715)
იჯარის ხარჯები	(2,356,059)
როიალტის ხარჯი	(1,491,962)
სხვა ხარჯები	(4,102,734)
საოპერაციო მოგება	4,316,310
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	(173,709)
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	4,142,601

8. გაცემული სესხები

2023 წელს კომპანიამ დაკავშირებულ მხარეებზე გასცა გრძელვადიანი სესხი, ჯამური ნომინალური ღირებულებით 1,641,000 ლარი. სესხის დაფარვის ვადაა არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბერი. საწყისი აღიარების დროს აღნიშნული სესხი დადისკონტირდა ეფექტური 13.87-14.04%-ით. საწყისი აღიარების 40,569 ლარის ღირებულების ეფექტი ასახულია სხვა რეზერვებში, როგორც დამფუძნებელთან განხორციელებული ტრანზაქცია.

2023 წელს დაკავშირებულმა მხარემ სრულად დაფარა მასზე 2022 წელს გაცემული გრძელვადიანი სესხი, დაფარვა ჩაითვალა, როგორც მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია, რის გამოც აღნიშნული ტრანზაქციის ეფექტი 547,063 ლარის ოდენობით აისახა სხვა რეზერვებში, როგორც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქცია.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის გაცემული სესხების ნაშთი მოიცავს დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ გრძელვადიან სესხს ღირებულებით 1,720,668 ლარი. გაცემული სესხის ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 13.5-14.1%-ს, ხოლო დაფარვის ვადაა არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბერი. გაცემული სესხები 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის უზრუნველყოფილი.

2024 წლის 1 თებერვალს მოხდა გაცემული სესხის სრულად გადაცემა დაკავშირებული მხარისთვის, შპს ვ-ჯეო რესტორნებისთვის. შედეგად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხების ნაშთი განულდა. ცვლილება შეფასდა, როგორც მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია. მოდიფიკაციის ეფექტმა შეადგინა 47,126 ლარი. აღნიშნული მოდიფიკაციით, როგორც დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციის შედეგით, გაიზარდა სხვა რეზერვების ნაშთი.

2024 წლის პერიოდში გაცემულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 19,750 ლარი (2023: 562,329 ლარი).

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური მოთხოვნები		
აქტივების რეალიზაციიდან წარმოქმნილი მოთხოვნა*	9,273,067	11,074,166
სავაჭრო მოთხოვნები	1,285,519	1,480,513
არა-ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო ავანსები	106,040	140,837
საგადასახადო აქტივი**	51,673	70,950
	10,716,299	12,766,466

(*) - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული 11,074,166 ლარის მოთხოვნის ნაშთი წარმოადგენს გრძელვადიან მოთხოვნას (დაფარვის ვადაა 31.12.2025), რომელიც წარმოიქმნა დაკავშირებულ მხარეზე აქტივების რეალიზაციის შედეგად (შენიშვნა 8 - მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან). ეფექტური 13.27% საპროცენტო განაკვეთით დადისკონტირების შედეგად, მოთხოვნის რეალური ღირებულებით საწყისი აღიარების ეფექტმა, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 3,590,079 ლარს. აღნიშნული ეფექტი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია სხვა რეზერვის კლასიფიკაციის ქვეშ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების ეფექტი.

2024 წელს განხორციელდა აღნიშნული მოთხოვნის მნიშვნელოვანი ცვლილება. კონკრეტულად, სხვა დაკავშირებული მხარეებისგან და დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები (5,318,164 ლარი), ასევე სხვა დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები (1,788,402 ლარი) გადაეცა შპს ვ-ჯეო რესტორნებს და ამ ოპერაციების წმინდა შედეგით შემცირდა ვ-ჯეო რესტორნების მიმართ არსებული მოთხოვნის ნაშთი. ცვლილება შეფასდა, როგორც მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია, რის შედეგადაც ჩამოიწერა არსებული მოთხოვნა და აღიარდა ახალი ფინანსური ინსტრუმენტი. მოთხოვნის დისკონტირებისას გამოყენებულ იქნა 13.27%-იანი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. დისკონტირების შედეგად მიღებული შედეგი - 892,978 ლარი აღიარდა კაპიტალის მუხლში, როგორც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქცია.

სს „ვენჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

10. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება 3,069,683 ცალი 1 ლარის ღირებულების აქციებისგან, რომელიც სრულად გადახდილია იგივე თარიღის მდგომარეობით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სააქციო კაპიტალი შედგება 2,751,300 ცალი 1 აშშ დოლარის ღირებულების აქციებისგან, საიდანაც მხოლოდ 1,690,260 აქციის ღირებულება არის გადახდილი იგივე თარიღის მდგომარეობით.

11. მიღებული სესხები

		გრძელვადიანი	
საპროცენტო განაკვეთი		31.12.2024	31.12.2023
დაკავშირებული მხარე	7%-11.7%	-	3,066,142
		-	3,066,142
		მოკლევადიანი	
საპროცენტო განაკვეთი		31.12.2024	31.12.2023
დაკავშირებული მხარე	9.00%	4,608,904	4,298,807
		4,608,904	4,298,807

2023 წელს სს „ვენჯორჯიამ“ დაფარა შპს „ველაჯიოსგან“ 2020 წელს მიღებული სესხის ნაწილი 2,084,470 ლარი, აღნიშნული ტრანზაქცია შეფასდა, როგორც მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია. მოდიფიკაციის ეფექტი აისახა კაპიტალში, როგორც დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ტრანზაქცია და 524,923 ლარით შეამცირა სხვა რეზერვები.

2024 წლის 1 იანვარს, მოხდა მოცემული სესხის ვალდებულების სრულად გადაცემა სხვა დაკავშირებული მხარისთვის. ცვლილება შეფასდა, როგორც მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია, რის შედეგადაც ჩამოიწერა არსებული ფინანსური ვალდებულება. აღნიშნული ტრანზაქციების ჯამურმა ეფექტმა შეადგინა 1,639,682 ლარი, რითიც შემცირდა სხვა რეზერვი.

2024 წლის 1 იანვარს სს ვენჯორჯიას და შპს ვ-ჯეო რესტორნებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც სს ვენჯორჯიამ შპს ვ-ჯეო რესტორნებს გადასცა სხვა დაკავშირებული მხარეების გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები, ღირებულებით 1,485,219 ლარი. ცვლილება შეფასდა, როგორც მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია, რის შედეგადაც ჩამოიწერა არსებული ფინანსური ვალდებულება. აღნიშნული ტრანზაქციების ჯამურმა ეფექტმა შეადგინა 130,246 ლარი, რითიც შემცირდა სხვა რეზერვი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხების ნაშთი სრულად შედგება შპს ვ-ჯეო რესტორნებისგან მიღებული მოკლევადიანი სესხისგან, რომლის დაფარვის ვადა ხელშეკრულების პირობების მიხედვით შეადგენს 2025 წლის 31 დეკემბერს.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	325,223	365,437
საიჯარო ვალდებულებები	-	481,370
გრძელვადიანი აქტივების შეძენიდან წარმოქმნილი სხვა ვალდებულებები	-	376,515
	325,223	1,223,322

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და უმაღლეს ხელმძღვანელობაში შემავალ პირებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კავშირი	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სხვა	10,558,586	12,534,347
გაცემული სესხები	სხვა	-	1,720,907
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა	-	481,370
მიღებული სესხები	სხვა	4,608,904	7,364,949
	კავშირი	2024	2023
ფინანსური ხარჯი	სხვა	(375,792)	(457,859)
ფინანსური შემოსავალი	სხვა	1,193,950	1,244,945
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან:			
ამონაგები	სხვა	-	2,689,678
სხვა შემოსავალი	სხვა	-	151,335
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	სხვა	-	(4,608,199)
იჯარის ხარჯები	სხვა	-	(1,082,886)
სხვა ხარჯები	სხვა	-	(226,803)
უმაღლესი ხელმძღვანელობის მოკლევადიანი შრომის ანაზღაურება	უმაღლესი ხელმძღვანელობა	(27,283)	(22,584)

2023 წელს კომპანიამ დაკავშირებული მხარეებისგან შეიძინა 1,924,085 ლარის ღირებულების მარაგი (2024: 0 ლარი) ასევე, 2023 წელს კომპანიამ დაკავშირებული მხარეებისგან შეიძინა 33,884 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები (2024: 0 ლარი).

14. პირობითი ვალდებულებები**იურიდიული საკითხები**

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

სს „ვენჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

14. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

თანამსესხებლობა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს თანამსესხებელს დაკავშირებული მხარეების ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე. 2024 წლის 31 დეკემბრით აღნიშნული სესხების თანხა შეადგენს 51,900,502 ლარს. თანამსესხებლობის პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაკავშირებული მხარეები ვერ უზრუნველყოფენ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილებას, კომპანია შესაძლოა გახდეს ვალდებული გადაიხადოს სესხის თანხა. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კომპანიას არ წარმოექმნება მატერიალური დანაკარგი.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული მნიშვნელოვანი ოპერაციები

2025 წლის 1 იანვარს შეთანხმების საფუძველზე მოხდა სს ვ-ჯეო რესტორნების მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნის ნაწილის და შპს ვ-ჯეო რესტორნებისგან მიღებული სესხის ურთიერთგაქვითვა. აღნიშნული თარიღის მდგომარეობით სესხის ძირის თანხა შეადგენდა 1,410,495 ევროს, ხოლო გადასახდელი პროცენტის თანხა - 161,445 ევროს.

2025 წლის 1 იანვარს გაფორმებული სამმხრივი შეთანხმების საფუძველზე სს ვენჯორჯიამ დაკავშირებული მხარის მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნა 1,329,219 ლარის ოდენობით, გადასცა შპს ვ-ჯეო რესტორნებს, რის შედეგადაც წარმოექმნა მოთხოვნა შპს ვ-ჯეო რესტორნების მიმართ.

სს „ვენჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1. საქმიანობის მიმოხილვა	24
2. განვითარების გეგმები	24
3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	24
4. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	26
5. საკუთარი აქციების გამოსყიდვა	26
6. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	26
7. ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ	26

1. საქმიანობის მიმოხილვა

სს „ვენჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიამ საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2015 წელს. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იან მფლობელს წარმოადგენს „გლობალ ინვესტორს ლიმიტედ“ (რეგისტრირებულია მალტაში ნომრით - C38646). კომპანიის ბენეფიციარ მფლობელებს წარმოადგენენ სამსონ ფხაკაძე (აქციების 50%-ის მფლობელი) და ლევან ფხაკაძე (აქციების 50%-ის მფლობელი).

2023 წლის სექტემბრამდე სს „ვენჯორჯია“ წარმოადგენდა სწრაფი კვების რესტორნების ქსელს, რომელიც მომხმარებელს სთავაზობდა ბურგერებს, სასმელს, დესერტს და სხვა. კომპანია ოპერირებდა ვენდის გლობალ რესტორნისგან (Wendy's Global Restaurants) მიღებული ფრანშიზის უფლებით. 2023 წელს კომპანიის დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სს ვენჯორჯიას შეეწყვიტა სარესტორნო საქმიანობა, შედეგად კომპანიამ 2023 წლის სექტემბერში ყველა რესტორნის მფლობელობა და მასთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები გადასცა დაკავშირებულ მხარეს შპს „ვ-ჯეო რესტორნებს“, რომელმაც გააგრძელა კომპანიის სარესტორნო საქმიანობა. კომპანიას 31.12.2024 მდგომარეობით არსებითად შეწყვეტილი აქვს საოპერაციო საქმიანობა და ინარჩუნებს მინიმალური მასშტაბის საქმიანობას მხოლოდ მიმდინარე ადმინისტრაციული და ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის 74ბ. კომპანია რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და საიდენტიფიკაციო ნომერია 404885335.

2024 წლის 31 დეკემბრის დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობა სს ვენჯორჯიაში შეადგენდა 10 თანამშრომელს, ხოლო 2023 წელს 11 თანამშრომელს.

2. განვითარების გეგმები

სარესტორნო საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ, მენეჯმენტმა დაასრულა კომპანიის ოპერაციული მოდელის გადახედვა და დაადგინა, რომ მომდევნო პერიოდში ახალი ოპერაციული საქმიანობის განვითარება ან წარსული ბიზნეს მიმართულების აღდგენა არ იგეგმება. ამ ეტაპზე კომპანია არ ახორციელებს ინვესტიციებს და ინარჩუნებს მინიმალური მასშტაბის საქმიანობას მხოლოდ მიმდინარე ადმინისტრაციული და ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად.

მენეჯმენტის მიმდინარე გეგმები მიმართულია კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების თანმიმდევრული და ეფექტიანი მართვისკენ, მათ შორის არასაჭირო ან არაექსპედიენტი აქტივების შესაძლო რეალიზაციის ჩათვლით. კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვა მოიცავს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესაძლებლობას მაშინ, როდესაც ეს იქნება შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის, მარეგულირებელი მოთხოვნების და კომპანიის ინტერესების გათვალისწინებით.

3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ვენჯორჯიას მთლიანი სრული შემოსავალი 2024 წელს შეადგენდა 712,696 ლარს, ხოლო 2023 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 4,126,304 ლარს.

ლიკვიდურობის კოეფიციენტმა (Current Ratio - მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებებთან) 2024 წელს შეადგინა 2,17, ხოლო 2023 წელს 0.31. აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია, წინა პერიოდთან შედარებით, რაც ძირითადად გამოწვეულია მიმდინარე აქტივების ზრდითა და ვალდებულებების შემცირებით.

მმართველობის ანგარიშგება - საქმიანობის მიმოხილვა

სს ვენჯორჯია

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ინფორმაცია კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

	2024	2023
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(52,092)	(13,530)
სხვა ხარჯები	(53,370)	(28,041)
საოპერაციო ზარალი	(105,462)	(41,571)
ფინანსური ხარჯი	(375,792)	(1,219,671)
ფინანსური შემოსავალი	1,193,950	1,244,945
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	712,696	(16,297)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
მთლიანი სრული მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	712,696	(16,297)
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	-	4,142,601
მთლიანი სრული შემოსავალი	712,696	4,126,304

ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

	31.12.2024	31.12.2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	11,074,166
არამატერიალური აქტივები	2,061	2,061
გაცემული სესხები	-	1,720,907
	2,061	12,797,134
მოკლევადიანი აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,716,299	1,692,300
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,485	1,683
	10,717,784	1,693,983
სულ აქტივები	10,719,845	14,491,117
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	3,069,683	3,069,683
დაგროვილი ზარალი	(3,953,873)	(4,666,569)
სხვა რეზერვი	6,669,908	7,499,732
	5,785,718	5,902,846
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	-	3,066,142
	-	3,066,142
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	325,223	1,223,322
მიღებული სესხები	4,608,904	4,298,807
	4,934,127	5,522,129
სულ ვალდებულებები	4,934,127	8,588,271
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	10,719,845	14,491,117

სხვა ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

ვენჯორჯიას არ აქვს ფილიალები.

5. საკუთარი აქციების გამოსყიდვა

კომპანიას 2024 და 2023 წლების განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არც მიმდინარე ეტაპზე გეგმავს ამას.

6. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

7. ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

• **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი სს ვენჯორჯიას არ გააჩნია.

• **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი სს ვენჯორჯიას არ გააჩნია.

• **ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა**

საბრუნავ კაპიტალში, მიმდინარე აქტივების სიდიდე მეტია მიმდინარე ვალდებულებების სიდიდეზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

• **საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკები სს ვენჯორჯიას არ გააჩნია.

• **საბაზრო და სავალუტო რისკები**

საბაზრო და სავალუტო რისკები სს ვენჯორჯიას არ გააჩნია.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 19 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

გივი გვეტაძე

ფინანსური დირექტორი

არჩილ ჭუბინიძე

4. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

ვენჯორჯიას არ აქვს ფილიალები.

5. საკუთარი აქციების გამოსყიდვა

კომპანიას 2024 და 2023 წლების განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არც მიმდინარე ეტაპზე გეგმავს ამას.

6. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

7. ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

• საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი სს ვენჯორჯიას არ გააჩნია.

• საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი სს ვენჯორჯიას არ გააჩნია.

• ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა

საბრუნავ კაპიტალში, მიმდინარე აქტივების სიდიდე მეტია მიმდინარე ვალდებულებების სიდიდეზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

• საოპერაციო რისკი


საოპერაციო რისკები სს ვენჯორჯიას არ გააჩნია.

• საბაზრო და სავალუტო რისკები

საბაზრო და სავალუტო რისკები სს ვენჯორჯიას არ გააჩნია.


2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 19 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



გიორგი გვეტაძე

ფინანსური დირექტორი



არჩილ ჩუბინიძე